

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**რევაზ კვიციანი**

**ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში  
(ძვ.წ. VIII-VII სს.)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის  
დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**მ ა ც ნ ე**

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიურ ცენტრში და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: 1. გურამ გრიგოლია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. ლერი ჯიბლაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური რეცენზენტები: 1. მარინე ფუთურიძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

2. ვახტანგ ლიჩელი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2009 წლის საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსი,

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი:

ა. ყულიჯანაშვილი

## თემის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის, ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მრავალმხრივ საინტერესო არქეოლოგიური კულტურის მონოგრაფიულად შესწავლის მცდელობას. ის ეფუძნება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ოთარ ღამბაშიძე) 1968-1991 წლებში გათხრილ რველის, ჩითახევის, კვირაცხოვლისა და ბორნიღელეს სამაროვნების მდიდარ და მრავალფეროვან მასალას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუქვეყნებელია და პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ამ მასალის ანალიზის საფუძველზე განვესაზღვრა ბორჯომის ხეობის ადგილი და როლი იმდროინდელი კულტურული თვალსაზრისით მრავალფეროვან კავკასიაში. შეძლებისდაგვარად შეგვექმნა წარმოდგენა მაშინდელი საზოგადოების მეურნეობისა და ყოფის, რელიგიური წარმოდგენებისა და კულტურული კუთვნილების შესახებ.

ყველა ზემოთნახსენები სამაროვანი მრავალიარუსიანია. ქვედა ფენის, ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული სამარხები მონოგრაფიულად შეისწავლა ი. ღამბაშიძემ. წარმოდგენილი ნაშრომის საშუალებით კი შეივსება ის ვაკუუმი, რომელიც არსებობდა ბორჯომის ხეობის ამ მეტად საინტერესო არქეოლოგიური ძეგლების სრულყოფილად წარმოჩენის საქმეში. გარდა ამისა ვფიქრობთ, რომ ის გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოსა და კავკასიის უძველესი ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს, სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას. შესაძლებელია მისი გამოყენება სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებშიც.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ცალკეული თავები განიხილებოდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შესაბამისი განყოფილებების სხდომებზე. საკვლევი საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები არაერთხელ იქნა

წაკითხული შიდასაინსტიტუტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სესიებსა და კომფერენციებზე (ნაწილი მასალებისა გამოქვეყნებულია).

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი წარმოდგენილია A4 ფორმატის 190 გვერდზე. ის შედგება შესავალი ნაწილისაგან (სადაც მოცემულია ბორჯომის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, რეგიონის არქეოლოგიური შესწავლის მოკლე ისტორია, საკვლევ მიმართულებების მოკლე აღწერა და ეპოქის ზოგადი მიმოხილვა), ხუთი თავის, სამი პარაგრაფის და განმაზოგადებელი ხასიათის დასკვნითი ნაწილისაგან. ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე), შემოკლებათა განმარტებები, 4 ცხრილი და 45 გრაფიკული ტაბულა. აგრეთვე ჩვენს მიერ შედგენილი ბორჯომის რაიონის არქეოლოგიური რუკა, რომელიც ასევე პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

**თავი I. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი.** ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული სამარხები აგებულებისა და დაკრძალვის წესის მხრივ რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს.

აგებულების მხრივ ისინი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ორმოსამარხებად და ქვითნაგებ სამარხებად. ამ უკანასკნელთა ასაგებად ძირითადად საშუალო ზომის დაუმუშავებელი ბაზალტის ქვები იყო გამოყენებული. ხშირია ქვყრილიანი სამარხებიც (ყრილები გვხვდება როგორც ორმოსამარხების, ისე ქვითნაგები სამარხების თავზე).

სხვადასხვა სამაროვანზე ორმოსამარხებისა და ქვითნაგები სამარხების რაოდენობრივი თანაფარდობა განსხვავებულია. რველის სამაროვანზე კი მხოლოდ ქვითნაგები სამარხები დაფიქსირდა.

დაკრძალვის წესის მხრივ სამარხები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) ინჰუმაციურ; 2) კრემაციულ (ნაწილობრივი კრემაციით) და 3) ინჰუმაციურ-კრემაციულ, ანუ ისეთ სამარხებად, სადაც დაკრძალვის ორივე წესია დადასტურებული (ჩვენ მათ «შერეულ» სამარხებსაც ვუწოდებთ). მათი რაოდენობრივი თანაფარდობაც სხვადასხვა სამაროვანზე განსხვავებულია.

გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილადი და კოლექტიური სამარხები. ზოგ სამარხში რამდენიმე კრემაციული ურნა დადასტურდა, მაგრამ

ვინაიდან ძვლებს კრანოლოგიური კვლევა არ ჩატარებია, ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენ ადამიანს ეკუთვნოდა ისინი.

იშვიათად გვხვდება სამარხები, სადაც მხოლოდ ადამიანთა თავის ქალებია დაფიქსირებული.

მიცვალებულები დაკრძალული არიან კიდურებმოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. რიგ შემთხვევაში ცუდი დაცულობის გამო ჭირს დაკრძალვის პოზის დადგენა. არავითარი განსხვავება არ შეინიშნება როგორც მამაკაცთა და ქალთა, ისე მოზრდილთა და მოზარდთა დაკრძალვის თვალსაზრისით. კანონზომიერება არ შეინიშნება მიცვალებულთა დამხრობაშიც.

კრემაციულ ურნებად ყოველთვის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი – ქოთნები, ტოლჩები და ჯამებია გამოყენებული, რომლებიც ჯამებით ან ბრტყელი ქვებით იყო თავდახურული.

რველის 25 და ჩითახევის 15 სამარხები სიმბოლურ სამარხებს – ე.წ. «კენოტაფებს» წარმოადგენს.

ნაშრომს ერთვის ოთხი ცხრილი, სადაც მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები თითოეულ სამაროვნებზე სამარხთა აგებულების, დაკრძალვის წესის, მიცვალებულთა დამხრობის, ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამარხთა რაოდენობის შესახებ.

ბორჯომის ხეობის რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხების ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი თავისებურებაა დაკრძალვის ინჰუმაციური და კრემაციული წესის თანაარსებობა. რაც მთავარია, ისინი თანაარსებობენ არა მხოლოდ ერთ სამაროვანზე, არამედ ხშირად ერთ სამარხშიც. ასეთი რამ კი იმდროინდელი კავკასიისათვის სრულიად უნიკალური მოვლენაა.

ო. ღამბაშიძე და ი. ღამბაშიძე ბორჯომის ხეობაში კრემაციული სამარხების არსებობას ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარში ფრიგიის სამეფოს, ანუ «მუშქების ქვეყნის» განადგურებას და იმ დიდ გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებს უკავშირებენ, რომელსაც ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში ჰქონდა ადგილი და რომელმაც ზოგი მკვლევარის აზრით (გ. მელიქიშვილი), «ხეთიზებული მესხური ტომების» ჩრდილოეთით, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში გადმონაცვლება გამოიწვია. სწორედ მათ მოტანილად თვლიან ისინი მცირე აზიაში საკმაოდ გავრცელებულ დაკრძალვის კრემაციულ წესს.

ჩვენ არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ბორჯომის ხეობაში არსებული დაკრძალვის კრემაციული წესი უფრო კოლხურ სამყაროსთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ამის ძირითად არგუმენტად კი ის მოგვაქვს, რომ მნიშვნელოვანი მცირეაზიური ელემენტი ბორჯომის ხეობის მატერიალურ კულტურაში არ შეინიშნება. კოლხური კულტურის ელემენტები კი ძალზე ძლიერია. კოლხეთშიც და ბორჯომის ხეობაშიც მიცვალებულთა კრემაცია დაახლოებით ერთდროულად – ძვ.წ. VIII-VII სს-ში ჩნდება. გარდა ამისა, ზოგი კრემაციული და «შერეული» სამარხი მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, უფრო ადრეული ხანით თარიღდება, ვიდრე მცირე აზიაში ზემოაღნიშნული ცნობილი მოვლენები მოხდებოდა.

ერთ სამაროვანზე და ხშირად ერთ სამარხში დაკრძალვის ორგვარი წესის არსებობა, ჩვენის აზრით გამოწვეული არ უნდა იყოს იქ დაკრძალულ ადამიანთა ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი ან სოციალური სხვაობით და სხვადასხვა ვითარებაში (ვთქვათ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილი ან ტრაგიკულად დაღუპული) ადამიანების სხვადასხვაგვარად დაკრძალვით უნდა აიხსნას.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მკვლევართა აზრი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კავკასიაში დაკრძალვის კრემაციული წესის გენეზისისა და გავრცელების გზების შესახებ. ამ მხრივ გამოკვეთილია ორი მთავარი მიმართულება: 1) კრემაცია სამხრეთ კავკასიაში ევროპიდან შემოდის ჩრდილოეთ კავკასიის გავლით (ვ. კოზენკოვა) და 2) ჩრდილოეთ კავკასიაში კრემაცია სამხრეთ კავკასიიდან ვრცელდება (ლ. ნეჩაევა, ნ. ჩლენოვა, ვ. კრივიცკი). ჩვენ არ ვიზიარებთ არც ერთ ამ მოსაზრებას და მ. თრაფშის კვალდაკვალ ვთვლით, რომ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კულხურ სამყაროში კრემაცია ძვ.წ. VIII საუკუნეში ჩნდება და რომ მისი წარმოშობა და სადაურობა ჯერაც გაურკვეველია.

ჩითახევის 25 და ბორნიღელეს 7 და 11 სამარხებში მიცვალებულთა თავის ქალების (ჩონჩხის გარეშე) აღმოჩენის ფაქტი, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ აქ მეორად დაკრძალვასთან უნდა გვქონდეს საქმე. თუმცა ვინაიდან ასეთი რამ ამ სამაროვნებზე საკმაოდ იშვიათობაა, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებული იყო ეს მოვლენა ძვ.წ. VIII-VII სს. ბორჯომის ხეობაში.

**თავი II. ლითონის იარაღი.** ამ თავში განხილულია ბორჯომის ხეობის სამაროვნებზე ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხებში აღმოჩენილი ლითონის იარაღი: მახვილები, სატევრები, შუბისპირები, ისრისპირები და ცულები. შევეცადეთ მოგვეხდინა თითოეული მათგანის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და განგვესაზღვრა მათი გავრცელების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური არეალი.

**მახვილები.** ამ სახეობის იარაღი სულ სამი ცალია აღმოჩენილი: ჩითახევის 15, 22 და ბორნიღელეს 8 სამარხებში. ჩითახევის 15 სამარხში აღმოჩენილ მახვილს აკლია ტარი, რომელიც იარაღის ტიპის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია, ამიტომ მის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ნაკლებია ჩითახევის 22 სამარხში აღმოჩენილი მახვილიც. მასაც ტარი აკლია, მაგრამ 15 სამარხის მახვილისგან განსხვავებით შემორჩენილი აქვს ჭვირული ორნამენტით დამშვენებული სალტე, რომლის მეშვეობითაც მასზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია. ბორნიღელეს 8 სამარხში აღმოჩენილი მახვილი კი მთლიანადაა შემორჩენილი. ეს ე.წ. «ბიმეტალურ» იარაღს წარმოადგენს, ვინაიდან ტარი ბრინჯაოსი აქვს, პირი კი რკინის. ნაშრომში მოცემულია სამივე მახვილის დაწვრილებითი აღწერილობა, ზოგადად აღწერილია აგრეთვე მათი შემცველი კომპლექსები და ერთვის გრაფიკული ჩანახატები.

სამივე მახვილი აღმოჩენილია კრემაციულ ურნებში, მოღუნულ მდგომარეობაში.

საკმაოდ ძნელად შეიძლება გაეცეს პასუხი იმას, თუ საქართველოში გავრცელებულ რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი. ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ორ მათგანს აკლია ტარი, რომელიც მახვილის ტიპის ძირითადი განმსაზღვრელია, ხოლო ერთადერთი, მთლიანად შემორჩენილი, ბორნიღელეს 8 სამარხში აღმოჩენილი მახვილის ტარიც რკინის მახვილებისათვის საკმაოდ ორიგინალურია. მისი მთავარი ნიშანი ე.წ. «სოკოსებური» თავია. ყველაზე მეტად ის თრიალეთში, სოფ. ბეშთაშენში, საფარ-ხარაბასთან ბ. კუფტინის მიერ გათხრილ 11 სამარხში და ჭიათურის რაიონში სოფ. ნიგოზეთში შემთხვევით აღმოჩენილ, მშვენივრად გრავირებულ ბრინჯაოს სატევრის ტარებთან იჩენს მსგავსებას. ორივე მათგანს ბ. კუფტინი «კოლხურ-ყოზანური» კულტურის წრეს მიაკუთვნებს და ძვ.წ. VIII საუკუნით ათარიღებს. მსგავსი ტიპის მქონე

ბიმეტალური სატევარი აღმოჩენილია ხაშურის ნაცარგორის 502 სამარხშიც და ა. რამიშვილის მიერ ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება. ამავე ხანით უნდა დათარიღდეს ბორნიღელეს 8 სამარხიც და მასში აღმოჩენილი მახვილიც კოლხური კულტურის წრეს უნდა მიეკუთვნებოდეს.

რაც შეეხება ჩითახევის 22 სამარხში აღმოჩენილ მახვილს: მართალია მას ტარი არა აქვს, მაგრამ გააჩნია ბრინჯაოს სალტე, რომელიც ჭკირული დეკორითაა დამშვენებული (ამგვარ დეკორს მკვლევარები სოლარურ სიმბოლოდ მიიჩნევენ). ტარს ქვემოთ სალტეები დამახასიათებელია სამთავრული ტიპის მახვილებისათვის, მათთვის დამახასიათებელია აგრეთვე ტარის მხატვრულად შემკობა. თუმცა დეკორირებული სალტე იშვიათია. ისეთი ორნამენტით დამშვენებული კი როგორც ჩითახევის მახვილს აქვს სხვაგან არსად გვეგულება. მიუხედავად ამისა ჩვენ ვთვლით, რომ ეს იარაღი ალბათ სამთავრული ტიპის მახვილი უნდა ყოფილიყო. ჩითახევის 15 სამარხში აღმოჩენილი მახვილი კი იმდენად ნაკლებია, რომ მის შესახებ სამწუხაროდ არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

**სატევრები.** ბორჯომის ხეობის სამაროვნებზე რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებში აღმოჩნდა თორმეტი რკინის, ორი ბრინჯაოს და ერთი «ბიმეტალური» სატევარი. ბრინჯაოს სატევრები ყველა ნაკლებია, მათ ტარი აკლიათ და შეიძლება ითქვას, რომ სატევრის პირებს უფრო წარმოადგენენ. რკინის სატევრების უმრავლესობა ყუნწიანია. აქვთ სწორი პირი, რომლებიც ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ყუნწზე და მხრებზე აქვთ სამანჭვლე ნახვრეტები. ისინი ბრინჯაოს სატევრების მინაბამებს წარმოადგენენ. გამონაკლისია კვირაცხოვლის 29 სამარხში აღმოჩენილი სატევარი. იგი საკმაოდ გრძელია, აქვს წაგრძელებული რომბისებური განივკვეთი და დაბალი ქედი.

სატევრების კლასიფიკაცია არაერთმა მკვლევარმა მოახდინა: გ. ლომთათიძემ, თ. მიქელაძემ, ბ. ტეხოვმა, რ. პაპუაშვილმა და სხვებმა. ჩვენთვის ყველაზე მისაღებ და ოპტიმალურ ვარიანტად თ. მიქელაძისეული კლასიფიკაცია ჩავთვალეთ და ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი სატევრების განხილვისას უფრო მეტად მას ვეყრდნობით.

ამ სატევრებს მრავლად ეძებნება პარალელი როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზოგი მათგანი მსგავსებას იჩენს ძვ.წ.



I-II ათასწლეულების მიჯნაზე კოლხურ-ყობანურ სამყაროში გავრცელებულ ბრინჯაოს მხრებდაქანებულ სატევრის პირებთან, შიდა ქართლში, ცხინვალის ნაცარგორაზე აღმოჩენილ სატევრებთან, სომხეთში ნორატუსის სამაროვანზე აღმოჩენილ იარაღთან და სხვა.

კვირაცხოვლის 29 სამარხში აღმოჩენილ, საკმაოდ არქაული ფორმის სატევრის მსგავს იარაღს მკვლევართა ნაწილი ძვ.წ. XIII-XII სს. ათარიღებს, თუმცა ჩითახევის 29 სამარხის კომპლექსი: რკინის შუბისპირი, რკინის მოხრილი დანა, თიხის დოქი, სასმისი და სხვა. ამ კომპლექსის ძვ.წ. VIII საუკუნეზე ადრეული ხანით დათარიღების საშუალებას არ იძლევა. რკინის სატევრის არქაული იერი კი ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ ბორჯომის ხეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია იარაღის დამზადების ძველი ტრადიცია, რაც ამ შემთხვევაში მისი ფორმის შენარჩუნებაში გამოიხატა.

**შუბისპირები.** ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა 35 შუბისპირი, რაც რაოდენობრივად ჭარბობს ყველა სხვა სახეობის საბრძოლო იარაღს. მათგან მხოლოდ ორია ბრინჯაოსი, დანარჩენი კი რკინის.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის შუბისპირების კლასიფიკაცია მოგვცა ლ. სახაროვამ, რომელსაც ამოსავალ წერტილად ვიყენებთ ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი შუბისპირების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისას.

ზემოთნახსენები ოცდათხუთმეტივე შუბისპირი მასრაგახსნილია, ტიპოლოგიურად ყველა მათგანი მეტ-ნაკლები ვარიაციებით მიეკუთვნება ლ. სახაროვასეული კლასიფიკაციის მეორე ტიპს, ანუ ფოთლისებურ შუბისპირებს. სხვადასხვა ვარიაცია გამოიხატება ცალკეული დეტალების პროპორციებში და ზომებში. გვხვდება შედარებით ვიწრო, წაგრძელებული შუბისპირები, მოკლეპირიანი და გრძელმასრიანი, გრძელმასრიანი და მოკლეპირიანი, ვიწროპირიანი შუბისპირები. აგრეთვე მოკლე, ორიგინალური ფორმის შუბისპირი ბორნილელეს 32 სამარხიდან. ყველა მათგანის განივკვეთი წაგრძელებული რომბის ფორმისაა და ყველა მათგანს მაღალი ქედი დაუყვება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბორნილელეს 8 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბისპირი, მშვენივრად გრავირებული მასრით, რომელზეც ერთმანეთისაკენ ზურგშექცეული ორი ფანტასტიკური, ორთავიანი ცხოველია გამოსახული.

იარაღის ფორმა საკმაოდ არქაულია, გამოსახულება კი აშკარად კოლხური კულტურის წრეს განეკუთვნება და მსგავსებას იჩენს უდეს განძის, ეშერის, განსაკუთრებით კი ბოგვის შუბისპირის მასრებზე არსებულ გამოსახულებებთან. მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. XII-VII სს. განისაზღვრება.

შუბისპირები აღმოჩენილია როგორც ინჰუმაციურ სამარხებში, ისე კრემაციულ ურნებში, სადაც ისინი საგანგებოდ იყვნენ მოღუნული. ბორნიღელეს 8 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს შუბისპირი კი ოთხად იყო გატეხილი. ეს ალბათ იმ უბრალო მიზეზით უნდა აიხსნას, რომ სხვაგვარად მათი ურნაში მოთავსება შეუძლებელი იქნებოდა.

ჩითახევის 20 და 29 სამარხებში შუბისპირები წვერით მიწაში იყო ჩარჭობილი. მსგავსი ფაქტები დადასტურებულია სომხეთშიც, ხრტანოცის სამაროვანზე და ალბათ რაღაც რიტუალზე მიუთითებს.

**ისრისპირები.** ჩვენს საკვლევ ძეგლებზე აღმოჩნდა ცხრა ბრინჯაოსა და ერთი რკინის ისრისპირი. რველის 22 სამარხში აღმოჩენილი ორი ისრისპირი სამფრთიან «სკვითურ» ისრისპირებს წარმოადგენს. ჩითახევის 73 სამარხში აღმოჩენილი ექვსი ისრისპირიდან ხუთი ე.წ. «ფრთებდაშვებულ» ყუნწიან ისრისპირთა რიცხვს მიეკუთვნება, თუმცა მათშიც რამდენიმე განსხვავებული ეგზემპლარის გამოყოფა შეიძლება. «ფუმქამოღარულ», სამკუთხა, ფირფიტოვანი ისრისპირების ტიპს მიეკუთვნება ბორნიღელეს 76<sup>1</sup> სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი (ამ ტიპის ისრისპირებს «სამთავრულსაც» უწოდებენ).

ე.წ. «სკვითური» ისრისწვერები ბორჯომის ხეობაში გარდა რველისა, სოფ. ქვაბისხევშიცაა აღმოჩენილი, თუმცა მათი აღმოჩენის ფაქტი აქ სკვითური ეთნიკური ელემენტის არსებობაზე სულაც არ მიუთითებს, ვინაიდან სკვითური კულტურის არც ერთი სხვა კომპეტენტი არაა დაფიქსირებული.

**ცულები.** რველის, ჩითახევისა და ბორნიღელეს სამაროვნებზე აღმოჩნდა 4 ბრინჯაოსა და 7 რკინის ცული. მათში ოთხი ტიპის გამოყოფა შეიძლება: 1) ბრტყელი ცული; 2) კოლხური მეორე ტიპის ცულები (ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით); 3) ჰიბრიდული ცულები; 4) რკინის ცულები, რომლებიც ბრინჯაოს ცულების ფორმას არ იმეორებს.

საკმაოდ საინტერესო და გარკვეულწილად უნიკალურია ბორნიღელეს 1 სამარხში აღმოჩენილი ბრტყელი ცული. ამ ტიპის ცულებიდან ის მხოლოდ

ჯავახეთში, სოფ. ბალანთაში აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულსა და თლიას სამაროვანზე აღმოჩენილ რკინის ბრტყელ ცულს ჰგავს. გამოირჩევა მარტივი ფორმით, არა აქვს გვერდითი შვერილები, გამოყვანილი ტანი და შვერილებიანი ტარდასაგები, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამ ტიპის იარაღისათვის. ბალანთა და ბორნიღელე გარკვეულწილად ერთ გეოგრაფიულ რეგიონშია მოქცეული. ამიტომ ორი ძალიან მსგავსი, თუმცა შესაძლოა ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული ცულის აღმოჩენა გვაძლევს ვარაუდის საშუალებას. რომ სამხრეთ საქართველო იყო ის მხარე, სადაც ამ ტიპის ბრტყელი ცულები მზადდებოდა.

ჩითახევის 26 და ბორნიღელეს 92 სამარხებში აღმოჩენილი ცულები ე.წ. «ჰიბრიდულ» ცულებს წარმოადგენენ, რადგან მათ ფორმაში შერწყმულია როგორც კოლხური, ისე აღმოსავლეთამიერკავკასიური ცულის ელემენტები. მსგავსი ცულები ცნობილია ახალციხიდან, უდეს განძიდან, არტანუჯ-ტანძორიდან, აგრეთვე აჭარიდან: ჩაისუბნის და სიხალიძეების განძებიდან, საღორეთიდან და ზოტიდან. ლ. სახაროვამ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ამ ტიპის იარაღი, გამოთქვა მოსაზრება მათთვის «მესხური ცული» გვეწოდებიან, რაც ჩვენც შესაძლებლად მიგვაჩნია. თუმცა მაინც ტერმინ «ჰიბრიდულს» ვარჩევთ. მათი არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ.წ. XII საუკუნიდან (უდეს განძი) ძვ.წ. VIII-VII სს. (ზოტი, ჩითახევი) უნდა იყოს შემოფარგლული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის ყველა ცული, მათ შორის ბორჯომის ხეობის რკინის ფართო ათვისების ხანით დათარიღებული ეგზემპლარებიც მხოლოდ ბრინჯაოსია.

ბორჯომის ხეობაში გვხვდება როგორც ბრინჯაოს ცულების მინაბადი, ისე მისგან განსხვავებული რკინის ცულები.

ძვ.წ. VIII-VII სს. სამარხებში აღმოჩენილი ცულები, მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, საკმაოდ ასახავენ იმ ტენდენციას, რაც ამ იარაღისა და მისი ცალკეული ტიპების გენეზისისა და განვითარება-გავრცელების თვალსაზრისით იმდროინდელ კავკასიაში ხდებოდა. როგორც ჩანს, ბორჯომის ხეობაც საკმაოდ აქტიურად ყოფილა ამ პროცესში ჩართული.

**თავი II. სამკაული და სამოსელთან დაკავშირებული ნივთები.** ამ თავში განხილულია რველის, ჩითახევის, კვირაცხოვლისა და ბორნიღელეს სამაროვნების რკინის ფართო ათვისების ხანით დათარიღებულ სამარხებში

აღმოჩენილი სამკაული და სამოსელთან დაკავშირებული ნივთები. მოცემულია სტატისტიკური მონაცემები, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, გავრცელების გეოგრაფიული არეალი, ქრონოლოგიური ჩარჩო და კულტურული კუთვნილების საკითხები.

**საკინძები.** საკინძები ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ სამოსელთან დაკავშირებული ნივთებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სახეობაა. რკინის ფართო ათვისების ხანაშიც ისინი ძირითადად ბრინჯაოსაგან მზადდებოდა, მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაა რკინის საკინძების აღმოჩენისა.

ჩვენ გამოვყავით საკინძების შემდეგი ტიპები: 1) თავხვია საკინძები (რომელთა შორის სამი ქვეტიპიც გამოვყავით); 2) თავგამსხვილებული საკინძები; 3) ოთხკუთხაგანიკვეთიანი თავგამსხვილებული საკინძები; 4) კოპებიანი საკინძები; 5) გუმბათისებურთავიანი საკინძები; 6) მინიატურული, თავგაბრტყელებული საკინძები.

განსაკუთრებით საყურადღებოა რკინის ფართო ათვისების ხანის კომპლექსებში ბრინჯაოს თავხვია საკინძების აღმოჩენის ფაქტები. ზოგი მკვლევარის (დ. ქორიძე და სხვა) აზრით, თავხვია საკინძები კავკასიის ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს პერიოდის შემდეგ არ გვხვდება და ეს გარემოება ამგვარი ნივთების შემცველი კომპლექსების დათარიღებისას მეტად მნიშვნელოვანია. ბორჯომის ხეობაში კი თავხვია საკინძების შემცველი კომპლექსები ძვ.წ. VIII ს. ადრეული ხანით არ თარიღდება და ამ ტიპის ნივთის ამ ხანაში არსებობა, ბორჯომის ხეობაში ძველი ტრადიციების ხანგრძლივი დროით არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

ყველაზე გავრცელებულ ფორმას თავგამსხვილებული საკინძები წარმოადგენს. ამ ტიპის საკინძებიც ორ ჯგუფად დავყავით: სადა და ორნამენტირებულ საკინძებად. ამ ტიპის საკინძები ცნობილია, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის სინქრონული ძეგლებიდან.

შედარებით იშვიათია თავშესქელებული, ოთხკუთხაგანიკვეთიანი და მრავალწახნაგისანი საკინძები (არა მხოლოდ ბორჯომის ხეობაში, არამედ

საერთოდაც). ის თავგამსხვილებული მრგვალგანიკვეთიანი საკინძების უფრო რთულ ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს.

«თავგაბრტყელებული» საკინძები რომელიც საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი, მთელს კავკასიაში საკმაოდ გავრცელებულია, უმთავრესად კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ჩანს ისინი საკმაოდ ხანგრძლივი დროის – ძვ.წ. XIII-VII სს. განმავლობაში არსებობდნენ, თუმცა ყველაზე მეტად მაინც ძვ.წ. IX-VII სს. კომპლექსებშია დადასტურებული. ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ამ ტიპის ყველა საკინძი სადაა, მაშინ როდესაც ქვემო ქართლის და თლიას სამაროვანზე გვხვდება ორნამენტირებული ეგზემპლარებიც.

ძვ.წ. IX-VI საუკუნეებშია გავრცელებული გუმბათისებურთავიანი («თავკოპალა») საკინძებიც. დიდი ხნის მანძილზე (ძვ.წ. XIII-VII სს.) არსებობენ აგრეთვე კოპებიანი საკინძებიც.

**სამაჯურები.** სამაჯურები საკმაოდ უხვად აღმოჩნდა ბორჯომის ხეობის რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებში. მარტო ბორნიღელეს სამაროვანზე 80 ეგზემპლარი დაფიქსირდა. მათი უმრავლესობა ბრინჯაოსია. ჩვენ მათში ხუთი ტიპი გამოვყავით: 1) მრგვალგანიკვეთიანი, თავებგახსნილი სამაჯურები; 2) გველის სტილიზე-ბული თავებით დამშვენებული სამაჯურები; 3) ბრტყელგანიკვეთიანი სამაჯურები; 4) მასიური, თავებგახსნილი სამაჯურები; 5) მრგვალგანიკვეთიანი, თავებგადადებული სამაჯურები.

რკინის სამაჯურები ძალზე დაჟანგულია, ხშირ შემთხვევაში ნატეხების სახითაა მოღწეული, ამიტომ მათი ტიპის დადგენა ჭირს.

სამაჯურები აღმოჩენილია როგორც ინჰიმაციურ სამარხებში, ისე კრემაციულ ურნებში. როგორც ჩანს, ის როგორც ქალის, ისე მამაკაცის აქსესუარი უნდა ყოფილიყო.

ნაშრომში პარალელური მასალის მოშველიებით შევეცადეთ თითოეული ტიპის გავრცელების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური არეალის განსაზღვრა.

**ხატისუღლები.** ჩვენს საკვლევ ძეგლებზე სულ ოთხი ხატისუღელია დადასტურებული. მათგან ორი ბრინჯაოსი და ორი რკინის. ბრინჯაოს ხატისუღელთაგან ერთი მრგვალგანიკვეთიანი და თავწაწვეტებულია, ხოლო მეორე გრეხილდეროიანი, რომლის ერთი ბოლო მოკაუჭებულია. რკინის

ხატისუღლები მრგვალგანივკვეთიანია და ძლიერ კოროზირებული. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრება მრგვალგანივკვეთიანი და გრებილდეროიანი ხატისუღლების დათარიღების შესახებ. ბორჯომის ხეობის მასალის მიხედვით დასტურდება, რომ ამ ორი ტიპის ხატისუღლები ერთ პერიოდშიც თანაარსებობენ.

**აზინდები.** ჩითახევისა და ბორნიღელეს სამაროვანზე აღმოჩენილია ათი ბრინჯაოს აზინდა, რომლებიც ორ ტიპად დავყავით: 1. მართკუთხედის მოყვანილობის და 2. ე.წ. «ფრთისებურ» აზინდებად. მათი არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ დიდია. ისინი ძვ.წ. X-IX სს. იწყებენ გამოჩენას, ძვ.წ. VI ს. ჩათვლით არსებობენ და ძირითადად კოლხური კულტურის გავრცელების არეალში გვხვდებიან.

**ფიბულები.** ექვსი ფიბულა აღმოჩნდა ჩითახევის სამაროვანზე. მათგან ხუთი ბრინჯაოსი და ერთი რკინის. ყველა მათგანი წარმოადგენს მარტივ, ერთწილად ფიბულებს, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში «სუბმიკენური» მშვილდსაკინძების სახელითაცაა ცნობილი.

ჩითახევის სამაროვანზე აღმოჩენილი ფიბულების ღერო მრგვალგანივკვეთიანია, ენა გაბტყელებული, ზოგი მათგანი უორნამენტოა, ზოგს კი ირგვლივ შემოვლებული «თევზიფხური» ორნამენტი ამშვენებს.

ამ ფიბულების კლასიფიკაციისას ჩვენ ნ. სულავას ნაშრომს ვეყრდნობით, რომლის მიხედვითაც ნაწილი ფიბულებისა მიეკუთვნება ნახევრადოვალურ-რკალიან, ერთმანეთისაგან დაშორებულ, ირგვლივი თევზიფხური ორნამენტით რკალშეკრულ ფიბულათა ტიპს. ნაწილი ოდნავ ასიმეტრიულრკალიან ფიბულებს, ნაწილი კი ოდნავ ასიმეტრიულრკალიან, ერთმანეთისაგან დაშორებული, ირგვლივი თევზისიფხური ორნამენტით რკალშეკრულ ფიბულებს.

ჩითახევის ფიბულებს ბევრი პარალელი ეძებნება. ცენტრალურ, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთში, სამთავროს სამაროვანზე, მზეთამზეში და ა.შ.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე სამკაულისა და სამოსელთან დაკავშირებული ნივთების სხვა სახეობებიც; კერძოდ: საწვივე რგოლები, საყურეები, ბეჭდები, გულსაკიდები, ზარაკები და მძივები.

**თაზი IV. მცირე კლასტიკა.** ბორნილელეს 32 სამარხში აღმოჩნდა სამი პატარა ზომის ბრინჯაოს ქანდაკება: მხედრის, მამაკაცის (ითიფალური) და მცურავი ფრინველის.

ბრინჯაოს მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებები ძალიან გავრცელებულია ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის კავკასიაში. აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში, მცირე აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში და ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. მათი შესწავლაც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. არსებობს მათი რამდენიმე კლასიფიკაციაც. მათ შორის აღსანიშნავია ტალგრენის, ზახაროვის, მარკოვინის, გ. ჯავახიშვილის და სხვათა კლასიფიკაციები, რომლებიც სხვადასხვა პრინციპებს ეფუძნებიან.

რაც შეეხება მათი გავრცელების გეოგრაფიულ არეალს: ისინი დადასტურებულია საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის, ყაზარდოს ტერიტორიებზე. წინა აზიაში: ხურვინში, ბიბლოსში, ბეირუთში, უგარითში, ლურისტანში. მცირე აზიაში: თეფე-ჰისარში, ბოღაზ-ქოიში და სხვ. ევროპაში: როდოსზე, კრეტაზე, ათენში, სარდინიაზე, პირინეის ნახევარკუნძულზე, ავსტრიაში და ა.შ.

მათი არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II-ე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება, მაგრამ ყველაზე ინტენსიურად ძვ.წ. IX-VII სს. არიან გავრცელებული.

ბორნილელეს «მხედრის» ზუსტი ანალოგია არსად გვევლება. ცხოველებზე ამხედრებული ადამიანების მინიატურული ქანდაკებები კი უცხო არაა არც კავკასიისათვის, არც მცირე აზიისა და ევროპისათვის. ბორნილელის «მხედრის» მეტ-ნაკლებად მსგავსი ფიგურა აღმოჩენილია ჩრ. კავკასიაში, სოფ. სამაშკოში, ასევე მეტ-ნაკლებ მსგავსებას იჩენს ჩრ. იტალიაში აღმოჩენილ მხედრის ქანდაკებასთან, თუმცა განსხვავებაც საგრძნობია.

არც ბორნილელეს მამაკაცის ითიფალურ ფიგურას ეძებნება სადმე ზუსტი ანალოგია, თუმცა მთელი რიგი დეტალებით ის ბევრ საერთოს პოულობს სხვა ქანდაკებებთან, მათ შორის სომხეთში, აირუმში აღმოჩენილ მასალასთან. ყველაზე ახლო მსგავსებას კი ზეკარში აღმოჩენილ ფიგურასთან ავლენს. თუმცა ამ უკანასკნელს ბორნილელეს ქანდაკებისაგან განსხვავებით არც ჩაფხუტი ჰხურავს (ბორნილელეს ითიფალურ ქანდაკებას თავზე ნახევარმთვარისებური

მუზარადი ჰხურავს, რომელსაც მკვლევართა ნაწილი, მაგ. ო. ღამბაშიძე «ფრიგიულ» მუზარადად მიიჩნევს) და სახის ნაკვთებიც უფრო რეალისტურად აქვს გამიკვეთილი. ბორნილელს ფუგურის მსგავსი თავსაბურველი ჰხურავს ცაგერის მუზეუმში დაცული მხედრის ბრინჯაოს ფიგურას შ. ამირანაშვილი ამ ქანდაკების განხილვისას გამორიცხავს ფრიგიული და ირანული ხელოვნების გავლენას.

მცურავი ფრინველის ქანდაკება, რომელიც ამავე სამარხში აღმოჩნდა ძალიან განსხვავდება სამხრეთ კავკასიაში ადრეულ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული ფიგურებისაგან. სამცხეში მცურავი ფრინველების ოცდაათამდე ფიგურაა აღმოჩენილი, მათ შორის ბორჯომის ხეობაშიც, მაგრამ ბორნილელს ფიგურა მათგანაც განსხვავებულია. თუ ადრეული ფიგურები უფრო გედებს, ყანჩებს და ყარყატებს ჰგავს, ბორნილელს ფიგურა უფრო ბატს ან იხვს მოგვაგონებს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრინჯაოს ფიგურები წარმართული კერპებია. ითიფალურ ქანდაკებაში შეიძლება ნაყოფიერების ან ომის მფარველი ღვთაება შევიცნოთ, ან ისეთი, რომელიც ორივე ფუნქციას ითავსებს. ამაზე მიგვანიშნებს ერთის მხრივ მუზარადი, ხოლო მეორეს მხრივ ფალოსი. ომის ან ბუნების მფარველ ღვთაებას შეიძლება გამოსახავდეს მხედრის ქანდაკება, ვინაიდან ცხოველი, რომელზედაც ისაა ამხედრებული ნაკლებად ჰგავს ცხენს და უფრო გარეულ ცხოველებს, მგელს ან ანტილოპათა ოჯახის რომელიმე წარმომადგენელს მოგვაგონებს. რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული მცურავ ფრინველთა ქანდაკებებიც. იგი სამყაროს ერთ-ერთ მთავარ ელემენტს, წყალს უკავშირდება. წყალი კი სიცოცხლის დასაბამს.

32 «შერეული» სამარხი, სადაც მცირე პლასტიკის სამივე ნიმუში აღმოჩნდა, ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული სამარხია ბორნილელს რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხთა შორის. შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ მასში დაკრძალული ერთ-ერთი მიცვალებული შესაძლოა კულტის მსახური იყო და ბრინჯაოს ქანდაკებებიც სწორად მას ჩაატანეს.

**თავი V. კერამიკა.** სამარხეულ ინვენტარს შორის უხვად გვხვდება თიხის ჭურჭელი. მისი უდიდესი ნაწილი სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ბორჯომის ხეობაში როგორც ჩანს, ჭურჭელი სერიულად



მზადდებოდა. თუმცა არც თუ იშვიათად გვხვდება სპეციალურად დამზადებული, ფორმითა და შემკობით გამორჩეული ჭურჭელიც. იშვიათად მაგრამ მაინც არის ხელით ნამერწი ჭურჭელი, რომელიც შედარებით მდარე ხარისხისაა და უგემოვნებოდ დამზადებული.

კერამიკული წარმოების მაღალ დონეზე მეტყველებს თიხის დამუშავებისა და გამოწვის ტექნოლოგიაც. გვხვდება როგორც შავპრიალა, ისე მოწითალოდ, მოვარდისფროდ, ყავისფრად გამომწვარი ჭურჭელი.

ბორჯომის ხეობის ძვ.წ. VIII-VII სს. კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია კეცში კვარცისა და ქასრის კრისტალების გარევა.

ძალზე უხვია ჭურჭლის ასორტიმენტიც. ცალ-ცალკე განვიხილავთ ჯამებს, ქოთნებს, კოჭბებს, დოქს, ტოლჩებს, სასმისებს, ჩაიდნისებურ ჭურჭელს. აგრეთვე ე.წ. «სარკმლიან» და გახვრეტილ ჭურჭელს.

ჯამებში გამოვყავით სამი ტიპი: 1) პირმოყრილი ჯამები; 2) სწორპირიანი ჯამები, რომელთა გვერდები ძირისაკენ მკვეთრად დაქანებულია; 3) ბაკოიანი, დაბალქუსლიანი ჯამები. სათანადო პარალელური მასალის მოშველიებით განვიხილავთ თითოეული ტიპის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს და ქრონოლოგიურ ჩარჩოს. მათი უმრავლესობა გვიანბრინჯაოს ხანის საწყის პერიოდში (ზოგჯერ უფრო ადრეც) იწყებს გამოჩენას და ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებშიც განაგრძობს არსებობას. თუმცა ამ ხნის მანძილზე დამზადების ტექნოლოგია და ფორმის ზოგიერთი დეტალი გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის.

ქოთნები ორ მთავარ ჯგუფად – ყურიან და უყურო ქოთნებად დაყვავით. თითოეულ მათგანში კი რამდენიმე ქვეტიპი გამოვყავით. უყურო ქოთნებში: 1) ბიკონუსური ფორმის ქოთნები; 2) წაგრძელებული ფორმის ქოთნები; 3) პირგადაშლილი, დაბალყელიანი ქოთნები, რომელთაც ოდნავ გამოზბერილი მუცელი და ფართო, ბრტყელი ძირი აქვთ.

ყურიანი ქოთნები ცალყურიან და ორყურიან ქოთნებად დაყვავით. ცალყურიანი ქოთანი მხოლოდ ერთი ცალია აღმოჩენილი ჩითახევის 70 სამარხში. რაც შეეხება ორყურიან ქოთნებს, მათში ოთხი ქვეტიპის გამოყოფა შევძელით.

ტოლჩები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. მათში სამი ტიპი გამოვყავით: 1) ცილინდრული ტოლჩები; 2) ქილისებური და კასრისებური ტოლჩები; 3) ღრუქუსლიანი ტოლჩები. განვიხილავთ სხვადასხვა მკვლევარების მიერ შესრულებულ ამ სახეობის ჭურჭლის კლასიფიკაციას, მათი გავრცელების არეალს, კულტურულ კუთვნილებას, დათარიღების საკითხებს და ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ეგზემპლარების თავისებურებებს.

ცალკე განვიხილავთ ჩითახევის 87 და ბორნიღელეს 4, 8, 16, 82 სამარხებში აღმოჩენილ სასმისებს, რომლებშიც გაერთიანებული უნდა იყოს კოლხურ და სამთავრულ კულტურათა კერამიკული წარმოების ტრადიციები.

ბორნიღელეს 50 სამარხში აღმოჩენილი ჩაიდნისებური ჭურჭელი, რომელიც კრემაციულ ურნად იყო გამოყენებული, ამ სახეობის ჭურჭლის საკმაოდ ორიგინალურ ეგზემპლარს წარმოადგენს. ის სრულებით არ ჰგავს ძვ.წ. X-VIII სს. მცირე აზიაში, ირანსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე აღმოჩენილ ჩაიდნისებურ ჭურჭელს და მათ შორის რაიმე გენეტიკური კავშირის ძიებაც არ უნდა იყოს მართებული.

ბორნიღელეს 23 და 25 სამარხებში აღმოჩნდა ე.წ. «სარკმლიანი» ჭურჭელი. ისინი წარმოადგენენ ტოლჩებს, რომლის ძირშიც ობსიდანის პატარა ნატეხია ჩასმული. მსგავსი ჭურჭელი საკმაოდაა აღმოჩენილი როგორც საქართველოში (დმანისი, «შუშის ქარხნის» სამაროვანი, ფლავისმანი, აწყური და სხვა), ისე მცირე აზიასა და ევროპაში. თუმცა ევროპულ და აზიურ «სარკმლიან» ჭურჭელს შორის საკმაოდ დიდი ქრონოლოგიური სხვაობაა.

მათ შესახებ საკმაოდ ბევრ მკვლევარს აქვს აზრი გამოთქმული. სხვადასხვაგვარად ხსნიან ისინი მის მნიშვნელობასაც. ქართველ მკვლევართაგან ამ საკითხს შეეხნენ გ. ნიორაძე და ს. მაკალათია. ორივე მათგანი ამგვარ ჭურჭელს სარიტუალო დანიშნულებისად მიიჩნევს და მზის თაყვანისცემას უკავშირებს.

ბორჯომის ხეობაში რომ მზეს განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს, მიუთითებს ამავე სამაროვნების ქვედა ფენის სამარხებში აღმოჩენილი ისეთი ნივთები, როგორიცაა ბრინჯაოს დისკოსებური, ჭვირული გულსაკიდები, დისკოსებურთავიანი საკინძები და სხვა. თუ «სარკმლიანი» ჭურჭელიც მზის თაყვანისცემას უკავშირდება, გამოდის, რომ ის რკინის ფართო ათვისების

ხანაშიც გრძელდება, ოღონდ შესაძლოა სხვა ფორმით და სხვა საკულტო ატრიბუციით.

ჩითახევის 16 და 31 სამარხებში აღმოჩნდა ქოთნები, რომლებსაც ძირთან ერთი ნახვრეტი ჰქონდათ დატანილი. ასევე ძირგახვრეტილია 70 სამარხში აღმოჩენილი ჯამიც, არც ერთი მათგანი კრემაციულ ურნად არ იყო გამოყენებული. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ნახვრეტიანი ურნები (მაგ. მალაქლუს კოლუმბარიუმზე) მიცვალებულის კულტა და სულის არსებობის რწმენასთანაა დაკავშირებული. ნახვრეტებიანი ურნები და აკლდამები არც ევროპისათვის ყოფილა უცხო. ზოგი მკვლევარი ამგვარ ნახვრეტებს «სულის სარკმელსაც» უწოდებს. რატომ იყო გახვრეტილი ჩითახევის სამაროვანზე დადასტურებული ჭურჭელი ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ ბორჯომის ხეობის სამაროვნებზე აღმოჩენილი არც ერთი კრემაციული ურნა გახვრეტილი არ არის.

**დასკვნა.** ბორჯომის ხეობაში, რველის, ჩითახევის, კვირა-ცხოვლისა და ბორნიღელეს სამაროვნებზე გამოვლენილი მასალის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ბორჯომის ხეობის როლი და ადგილი რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) კავკასიაში. ამ რეგიონის მატერიალური კულტურის თავისებურებანი, გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა საზოგადოების ეკონომიკურ და სამეურნეო ყოფაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე და ა.შ.

როგორც მოპოვებული მასალებიდან ირკვევა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში ბორჯომის ხეობა საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა დასახლებული (ამაზე მეტყველებს ერთმანეთისგან საკმაოდ ახლოს ოთხი სინქრონული სამაროვნის არსებობა), რასაც ალბათ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი გარემო განაპირობებდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამაროვანი მრავალიარუსიანია. მიცვალებულებს იქ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდან ასაფლავებდნენ. როგორც ჩანს ამ ხნის მანძილზე გარკვეული ტრადიციები ცვლილებას არ განიცდის, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მოსახლეობის ძირითადი მასის ეთნიკური შემადგენლობა არ შეცვლილა.

მოპოვებული მასალიდან ისიც ირკვევა, რომ საკმაოდ განვითარებული ყოფილა სოფლის მეურნეობა. მართალია სამეურნეო იარაღი (გარდა ცულებისა) სამარხებში არ დადასტურებულა, მაგრამ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული მასალა ალბათ გარკვეულწილად ამაზეც მეტყველებს.

განვითარებული ყოფილა როგორც რკინის, ისე ბრინჯაოს მეტალურგია. ბორჯომის ხეობაშიც სახეზეა დროის საერთო ტენდენცია: საბრძოლო იარაღის ძირითადად რკინისაგან, ხოლო სამკაულისა და სამოსელთან დაკავშირებული ნივთების ბრინჯაოსაგან დამზადება. ამასთან შემორჩენილია საკმაოდ ძველი ფორმებიც (მაგ., თავხვია საკინძები, არქაული ფორმის სატევარი და სხვა).

განვითარებული ჩანს მეთუნეობაც. ხდება ჭურჭლის სერიულად დამზადება. გამოკვეთილია ბორჯომის ხეობის სამეთუნეო წარმოების თავისებურებაც: კვარცისა და ქარსის კრისტალების დიდი ოდენობით გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მეტალურგიული და თიხის ნაწარმის სერიული დამზადება, მაინც გვხვდება ნივთები, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონისათვისაა დამახასიათებელი. მაგ., ბორნიღელეს ბრტყელი ცული, ჰიბრიდული ცულები და სხვა.

სიახლეა დაკრძალვის წესშიც. ქრება მამაკაცთა მარჯვენა, ხოლო ქალთა მარცხენა გვერდზე დაკრძალვის ტრადიცია. ჩნდება კრემაცია. დაკრძალვის ორგვარი წესის ერთ სამარხში არსებობა («შერეული» სამარხები) კი მხოლოდ ბორჯომის ხეობისათვისაა დამახასიათებელი.

«სარკმლიანი» ჭურჭლის აღმოჩენა ამ მხარეში მზის კულტის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ამ თვალსაზრისით ბორჯომის ხეობას ძალზე დიდი ტრადიცია ჰქონდა. თუმცა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში მან როგორც ჩანს გარკვეული ცვლილებები განიცადა. ვინაიდან უკვე არ გვხვდება ძველი საკულტო ატრიბუტიკა. (მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს დისკოსებური ჭვირული გულსაკიდები). საკულტო დანიშნულების უნდა იყოს ბორნიღელეს სამაროვანზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ნიმუშებიც, რომლებიც ნაყოფიერების, ომის, ბუნების მფარველი ღვთაებების კერპები შეიძლება ყოფილიყო.

შედარებით მდიდრული და ღარიბული სამარხები შესაძლოა საზოგადოებაში არსებულ ქონებრივ და შესაძლოა სოციალურ დიფერენციაზეც მეტყველებდეს.

მოპოვებული არტეფაქტების ანალიზი გვამლევს იმის საფუძველს, რომ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების ბორჯომის ხეობა ცენტრალურამიერკავკასიური, სამთავრული და კოლხური კულტურების შეხვედრისა და თანაარსებობის ზონად მივიჩნიოთ. რომელი კულტურა იყო დომინანტი და რომელი დაქვემდებარებული ძნელი სათქმელია. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებაც. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ პერიოდის ნამოსახლარები სრულიად შეუსწავლელია და ჯერაც არაა აღმოჩენილი სინქრონული ძაგლები ბორჯომის ხეობის სამხრეთით. მათი აღმოჩენა და შესწავლა კი მეტ შუქს მოჰფენს ბევრ ჯერაც პასუხგაუცემელ კითხვას.

**დისერტაციის თემაზე გამოყენებულ ნაშრომები:**

1. ამიერკავკასიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობის საკითხისათვის მესხეთ-ჯავახეთის მასალების მიხედვით. სამეცნიერო სესია: "მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)", 1993, თბილისი, გვ. 21-22 (თანაავტორი).
2. დაკრძალვის წესი ბორჯომის ხეობაში ძვ.წ. VIII-VI სს-ში. ძიებანი 4, 1999, თბილისი, გვ. 37-46.
3. რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VII სს.) სამარხები ბორჯომის ხეობაში. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, 2000, ახალციხე, გვ. 93-102.
4. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1989-1991 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. 2004, თბილისი, გვ. 44-50 (თანაავტორი).
5. სამკაული და სამოსელთან დაკავშირებული ნივთები ძვ.წ. VIII-VII სს. ბორჯომის ხეობიდან. არქეოლოგიური კრებული V, 2006, თბილისი, გვ. 35-48.
6. Боржомское ущелье в VIII-VI вв. до н.э. Археология, этнология, фольклористика Кавказа, 2004, Тбилиси, с. 72.

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ  
ИМ.И.ДЖАВАХИШВИЛИ  
ФАКУЛЬТЕТ ГУМАНИТАРНЫХ НАУК

На правах рукописи

**РЕВАЗ КВИРКВАИЯ**  
**БОРЖОМСКОЕ УЩЕЛЬЕ В ЭПОХУ ШИРОКОГО ОСВОЕНИЯ ЖЕЛЕЗА**  
**(VIII-VII вв. до н.э)**

В Е С Т Н И К

по диссертации, представленной на соискание академической степени доктора истории  
(Ph.D) Тбилисского государственного Университета им. И.Джавахишвили

2009

Диссертационная работа выполнена в Центре археологических исследований им. О.Лордкипанидзе Национального музея Грузии и в Департменте археологии и этнологии факультета гуманитарных наук Тбилисского государственного Университета им. И.Джавахишвили

Научные руководители: 1. ЛЕРИ ДЖИБЛАДЗЕ  
доктор исторических наук  
2. ГУРАМ ГРИГОЛИЯ  
доктор исторических наук, профессор

Официальные рецензенты: 1. МАРИНА ПУТУРИДЗЕ  
доктор исторических наук, профессор  
2. ВАХТАНГ ЛИЧЕЛИ  
доктор исторических наук, профессор

Защита диссертации состоится в. 2009 г. часов на заседании диссертационной комиссии факультета гуманитарных наук Тбилисского государственного Университета им. И.Джавахишвили

Адрес: 0179, Тбилиси, просп. И.Чавчавадзе корпус, Тбилисский государственный университет

Ознакомиться с диссертацией можно в научной библиотеке Тбилисского государственного Университета

Научный секретарь диссертационной комиссии  
Доктор философских наук  
Профессор:

А.Кулиджанашвили



### **Актуальность темы, научная новизна и практическое значение.**

Диссертационная работа является попыткой монографического изучения представляющей большой интерес археологической культуры VIII-VII вв. до н.э. одного из значительных регионов Грузии - Боржомского ущелья. Она основывается на богатых и разнообразных материалах с могильников Рвели, Читахеви, Квирацховели и Борнигеле, выявленных Месхет-Джавахетской археологической экспедицией Центра археологических исследований в 1968-1991 гг. (руководитель Отар Гамбашидзе), значительная часть которых неопубликована и впервые вводится в научный оборот.

Целью предлагаемой работы является на основе анализа материала определить место и роль Боржомского ущелья в культурном многообразии Кавказа того времени, по мере возможности воссоздать картину хозяйственной жизни и быта, религиозных представлений и культурной принадлежности соответствующего общества.

